

თავი 10

ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა

1. მარაგის ღირებულებაში მუდმივი დანახარჯის ჩართვა ხდება:

- ა. ცვლად დანახარჯთა სისტემის აღრიცხვისას
- ბ. სრულ დანახარჯთა სისტემის აღრიცხვისას
- გ. არც ერთ შემთხვევაში

2. მოგება – ზარალის ანგარიშებაში საწარმოო დანახარჯების ცვლადი და მუდმივი ელემენტები ცალ – ცალკე აისახება:

- ა. ცვლად დანახარჯთა სისტემის გამოყენებისას
- ბ. სრულ დანახარჯთა სისტემის გამოყენებისას
- გ. ორივე შემთხვევაში

3. ზღვრული მოგების ცნება გამოიყენება:

- ა. ცვლად დანახარჯთა სისტემის აღრიცხვისას
- ბ. სრულ დანახარჯთა სისტემის აღრიცხვისას
- გ. ორივე სისტემის გამოყენებისას

4. წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა დონის პირობებში, ერთეულზე ზღვრული მოგება:

- ა. უცვლელია
- ბ. იცვლება რეალიზაციის მოცულობის ცვლილების შესაბამისად
- გ. იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების შესაბამისად

5. წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა დონის პირობებში პროდუქციის ერთეულზე მოგება:

- ა. უცვლელია
- ბ. სხვადასხვანაირია
- გ. დამოკიდებულია მხოლოდ წარმოების დონეზე

6. მთლიანი ზღვრული მოგება უდრის:

- ა. ერთეულის ზღვრული მოგება * რეალიზაციის მოცულობაზე
- ბ. ერთეულის ზღვრული მოგება * წარმოების მოცულობაზე
- გ. ერთეულის ზღვრული მოგება * ერთეულის დანახარჯზე

7. მოგება უდრის:

- ა. მთლიანი ზღვრული მოგების – მუდმივი ზედნადები ხარჯები
- ბ. მთლიანი ზღვრული მოგების – ცვლადი ზედნადები ხარჯები
- გ. მთლიანი ზღვრული მოგების – ცვლადი რეალიზაციის ხარჯი

8. ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციასთან შედარებისას გამოთვლილი საბოლოო მარაგი ტოლი იყო 1,400 ერთეულის, საწყისი მარაგი - 2,000 ერთეულის და ფაქტობრივი წარმოება კი – 11,200 ერთეულის ფაქტობრივი ღირებულება იყო. 4.50 ლარი, გეგმური 5.00 ლარის ნაცვლად. რომელი დებულებაა მართებული:

- ა) დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მიხედვით მოგება იყო 2,700 ლარით უფრო მეტი.
- ბ) დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მიხედვით მოგება იყო 2,700 ლარით უფრო ნაკლები.
- გ) დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მიხედვით მოგება იყო 3,000 ლარით მეტი
- დ) მოცემული ინფორმაცია არ არის საკმარისი მოგების შორის სხვაობის დასადგენად.

9. პერიოდის განმავლობაში მარაგის ღირსეულობის მატების შემთხვევაში:

- ა. დანახარჯთა სრული განაწილებით დადგენილი მოგება მეტია და საბოლოო მარაგის ღირებულება ნაკლები, ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდთან შედარებით
- ბ. დანახარჯთა სრული განაწილებით დადგენილი მოგება და საბოლოო მარაგის ღირებულება მეტია, ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდთან შედარებით
- გ. ზღვრული დანახარჯებით კალკულაციით დადგენილი მოგება ნაკლებია და საბოლოო მარაგის ღირებულება მეტია, დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდთან შედარებით

10. ზღვრული მოგება არის:

- ა. გაყიდვებიდან ამონაგები - მთლიანი დანახარჯები
- ბ. გაყიდვებიდან ამონაგები - ცვლადი დანახარჯები
- გ. ცვლად საწარმოო დანახარჯებს მინუს შრომითი დანახარჯები
- დ. არც ერთი ზემოთ მოცემულთაგან

ამოცანა 1

საწარმო X იყენებს დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემას. აპრილის ბიუჯეტიდან მოპოვებულ იქნა შემდეგი მონაცემები:

მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი	48000 ლარი
წარმოება (ერთეულებში)	4800

აპრილში წარმოიქმნა მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯის შთანთქმის დანაკლისი – 8 000 ლარი, ხოლო მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯის ღირებულების არახელსაყრელი გადახრა იყო 2000 ლარი.

გაიანგარიშეთ:

ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის მოცულობა.

ამოცანა 2

კომპანია X-ის პერიოდის მოგება შეადგინა 47 500 ლარი, კომპანია იყენებს დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდს. იწარმოება ერთი სახის პროდუქცია, რომლის ერთეულის ნორმატიული დანახარჯი არის:

	ლარი
ძირითადი მასალა (2 კგ, 5 ლ/კგ-ში)	10
ძირითადი შრომა (4 საათი, 6.50 ლ/საათში)	26
ცვლადი ზედნადები დანახარჯი	4
მუდმივი ზედნადები დანახარჯი (4 საათი, 3ლ/სთ.-ში)	12
	<u>52</u>

საქმიანობის ნორმატიული ღონე არის 10,000 ერთეული, ფაქტობრივი წარმოება კი იყო 11,500 ერთეული. მუდმივი დანარჩავი შეესაბამებოდა საბიუჯეტოს. მარაგის ღონე პერიოდის დასაწყისში იყო 400, ხოლო პერიოდის ბოლოს კი 600 ერთეული.

ამოცანა 3

კომპანია „X“ აწარმოებს ნამცხვარს, რომლის ნორმატიული დანახარჯი არის:

	ლარი
მასალა	2
შრომა	3
ცვლადი საწარმოო ზედნადების დანახარჯი	3
მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი	4
რეალიზაციის ცვლადი დანახარჯი	1
რეალიზაციის მუდმივი ზედნადები დანახარჯი	2
მოგება	<u>5</u>
რეალიზაციის ფასი	<u>20</u>

ორივე სახის მუდმივი ზედნადები დანახარჯის ფაქტიური ღონე ეფუძნება საბიუჯეტო წარმოებას - 10000 ნამცხვარი წელიწადში.

წარმოების პირველ წელიწადს ბიუჯეტისგან ერთადერთი სხვაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ კომპანიამ აწარმოა 11000 და გაყიდა 9000 ნამცხვარი.

გაიანგარიშეთ:

1) მოგება დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდის მიხედვით.

2) მოგება დანახარჯთა ზღრული კალკულაციის მეთოდის მიხედვით.

ამოცანა 4

კომპანია ალფა მცირე საწარმოა, რომლის ერთი თვის ფაქტიური მოგება-ზარალის ანგარიში (შედგენილი დანახარჯთა ზღვრული კალკულაციის მეთოდის მიხედვით) არის შემდეგი სახით:

ამონაგები	48000	
რეალიზაციის თვითღირებულება:		
საწყისი მარაგი	3000	
წარმოების დანახარჯი	36000	
საბოლოო მარაგი	<u>7000</u>	
მარაგის დანახარჯი		(32000)
რეალიზაციის ცვლადი დანახარჯი:		(3200)
ზღვრული მოგება		12800
მუდმივი დანახარჯები		(8800)
მათ შორის: საწარმოო ზედნადები დანახარჯი		(4000)
ადმინისტრაციული დანახარჯი		(3600)
რეალიზაციის დანახარჯი		<u>(1200)</u>
წმინდა მოგება		<u>4000</u>

ერთეულზე ნორმატიული დანახარჯი არის:

	ლარი
ძირითადი მასალა (1 კგ)	8
ძირითადი შრომა (3 საათი)	9
ცვლადი ზედნადები დანახარჯი (3 საათი)	3
სულ:	<u>20</u>
ერთეულის საბიუჯეტო სარეალიზაციო ფასი	<u>30</u>

თვეში ნორმატიული წარმოების მოცულობა არის 2000 ერთეულის ტოლი. თვეში საბიუჯეტო მუდმივი საწარმოო დანახარჯი არის 4000 ლ. და მისი შთათქმა ხდება ნორმატიული წარმოებული პროდუქციის მიხედვით.

გაიანგარიშეთ:

- 1) თვის საბიუჯეტო მოგება-ზარალის ანგარიში დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდის გამოყენებით.
- 2) შეადარეთ ორი მეთოდის მიხედვით მიღებული მოგების მაჩვენებლები და ახსენით, თუ რატომ შეიძლება მიანიჭოს უპირატესობა საწარმომ დანახარჯთა კალკულაციის ზღვრულ მეთოდს, სრული განაწილების მეთოდთან შედარებით.

ამოცანა 5.

კოპანიის მიერ რეალიზებული პროდუქციის ფასია 14ლ. პროდუქციის ერთეულის ცვლადი საწარმოო დანახარჯი არის 6.40 ლ. მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი 29000 ლ-ის ტოლია, რომლის წარმოების დანახარჯზე მიკუთვნება ზდება წარმოებულ ერთეულზე შთანთქმის განაკვეთით პერიოდის განმავლობაში 20000 ერთეულიან წარმოებაზე დაყრდნობით. მუდმივი ზედნადები დანახარჯის შთანთქმის დანაკლისი ან სიჭარბე აისახება კონკრეტული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშზე, რათა დადგინდეს მოგების მაჩვენებელი.

ორი პერიოდის წარმოება და რეალიზაცია (ერთეულებში) გამოსახულია ქვემოთ:

	1-ლი პერიოდი	მე-2 პერიოდი
რეალიზაცია	15000	22000
წარმოება	18000	21000

პირველი პერიოდის დადგენილი საწარმოო მოგება იყო 35800 ლარი.

მოგეთხოვებათ:

- 1) მოამზადოთ მეორე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდის გამოყენებით.
- 2) მოამზადოთ მეორე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში დანახარჯთა ზღვრული კალკულაციის მეთოდის გამოყენებით.
- 3) ახსნათ:
 - ა. პირველისა და მეორე პერიოდების მოგებებს შორის სხვაობის მიზეზები, როცა გამოყენებულია დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდი
 - ბ. რატომ გასხვავდება (1) და (2) მოგების მაჩვენებლები. (ანუ რატომ განსხვავდება მეორე პერიოდის მიხედვით სრული და ზღვრული კალკულაციებით დათვლილი მოგების მაჩვენებლები).